

საერთაშორისო ვაჭრობა და საგაშო ფორმალუბები საქართველოში

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-127

გიორგი ბეკაური
სტუ დოქტორანტი
mr.beqauri@gmail.com

რეზიუმე

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) არეგულირებს საერთაშორისო ვაჭრობას ყველა მიმართულებით. საქონლით ვაჭრობის და მომსახურებით ვაჭრობის გარდა ორგანიზაციის კანონმდებლობა ასევე მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. GATT რომელიც, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) საკანონმდებლო საფუძველია, საერთაშორისო ვაჭრობას არეგულირებდა წარსულში, არეგულირებს ანმყოში და დაარეგულირებს მომავალში, თუმცა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO)-კვლავაც არ უზრუნველყოფს დოჰას რაუნდზე მიღებული საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების სრულად ამოქმედებას, რის გამოც საერთაშორისო დონეზე ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის გამოიყენება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. (FTA)

საერთაშორისო ხელშეკრულებები და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წესდება ქვეყნების მთავრობებს განუსაზღვრავს ბაზრის დაცვის რიგ მექანიზმებს, რის საფუძველზეც ისინი ახორციელებენ საერთაშორისო ვაჭრობის ზედამხედველობას. იმისათვის რათა ბიზნესი იყოს წარმატებული, აუცილებელია, რომ მენეჯერებმა სწორად გაანალიზონ სახელმწიფო პოლიტიკა, შეისწავლონ რეგულაციები, რომელთა გამოყენებითაც მთავრობა არეგულირებს საერთაშორისო ბაზარს. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი 2000 წელს გახდა და დღემდე ხელი მოწერილი აქვს არაერთ თავისუფალი ვაჭრობის ბილატერალურ ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად

ქმნიან საბაჟო კონტროლის საკანონმდებლო ბაზას.

საკვანძო სიტყვები: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო ვაჭრობა, საქონლის გაფორმების პროცედურები, საბაჟო კონტროლის ზონა.

* * * *

საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. გაიზარდა ლოჯისტიკის როლი. საბაჟო ლოჯისტიკა არის ახალი ტრენდი ლოჯისტიკაში, რომელიც ერთმანეთთან აახლოებს ორი ქვეყნის ეკონომიკის დარგებს და არიან მნიშვნელოვნები სახელმწიფოსათვის.¹ გლობალიზაცია აიძულებს ბიზნესს, რომ გახდნენ უკეთესები, უფრო ჭკვიანები და სწრაფები. მიუხედავად გლობალიზაციის სიძლიერისა და გავლენებისა ქვეყნების ეროვნული საზღვრები არ ქრებიან.² ფაქტიურად ნაციონალური საზღვრების დაცვის მექანიზმები გაძლიერდა. საერთაშორისო ბიზნესი აწყდება წინააღმდეგობას, რომლებსაც ქმნიან თავისუფალი ბაზრის დაცვის სატარიფო თუ არასატარიფო მექანიზმები, საერთაშორისო დონეზე არსებული სანქციები. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია არ დაირღვეს ზღვარი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ბიზნესოპერატორის ინტერესებს შორის. ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელი განვითარებისთვის ძალზედ დიდი როლი უჭირავს საბაჟო ორგანოს სწორ და გამართულ ფუნქციონირებას. სულ უფრო იზრდება საბაჟო უწყებების პასუხისმგებლობა.³

1 Dr Kochadze T., Dr. Tsetskldaze A., Doctoral candidate Godadze A., Akaki Tsereteli state University-Kutaisi, Georgia, The Customs Logistics Concept for The South Caucasus Transport Technological Systems, Scientific Proceedings International Scientific Conference “Higt Technologies, Business Society 2017”, Year I, Volume I, P.P. 17-19, 2017

2 Jeffrey L. Snyder, , General Editor, GTCJ, and Partner, Crowell & Moring LLP, Washington, D.C. and Brussels, Global Trade and Customs Journal, the premier journal for international trade practitioners, Available at <https://mag.wcoomd.org/magazine/wco-news-77/global-trade-and-customs-journal-the-premier-journal-for-international-trade-practitioners>

3 Albert W. Veenstra, Frank Heijmann, Multi-year Expert Meeting on Transport, Trade Logistics and Trade Facilitation 9th Session,

განვიხილოთ საბაჟო ორგანოს მუშაობის სპეციფიკა. ნებისმიერ ტვირთი ექცევა საბაჟო კონტროლის ქვეშ, როგორც კი იგი გადმოკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენისას უნდა განხორციელდეს მისი ზოგადი დეკლარირება, რაც ნიშნავს იმ საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებაზე ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებისთვის. საზღვარზე ძირითადად არასატარიფო კონტროლი ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მებაჟეს უნდა წარედგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, ლიცენზია, ნებართვა, სერთიფიკატი, რომელიც ტვირთის შემოშვებისთვის არის აუცილებელი.

ზოგადი დეკლარირების გავლის შემდეგ სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც ტვირთია განთავსებული ილუქება და გამოინერება აღრიცხვის მონმობა, დოკუმენტი სადაც განერილია, რომ კონკრეტული მანქანა გადაადგილდება საბაჟო კონტროლის ქვეშ და იგი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულების ადგილზე, საბაჟო კონტროლის ზონაში უცვლელ მდგომარეობაში და განსაზღვრულ ვადაში, რის შემდეგაც ტვირთი მოექცევა რომელიმე საბაჟო პროცედურაში, უფრო მარტივად რომ ვთქვათ განბაჟდება.

ცხრილი 1: საქონლის შენახვის ადგილების კლასიფიკაცია

ტიპი	რაოდენობა
საფოსტო გადამზიდველის საწყობი	157
საბაჟო საწყობი	129
"ოქროს სიის" მონაწილე	68
სარკინიგზო-სალიანდაგო ნაწილი	66
სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდველის საწყობი	54

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი	20
ცოცხალი პირუტყვის შენახვის სხვა ადგილი	7
ნავთობპროდუქტების შენახვის სხვა ადგილი	7
აგროქიმიკატის საწყობი	6
გაფორმების ეკონომიკური ზონა	5
აეროპორტი	3
საბაჟო საწყობი რეზერვუარი	2
ნავსადგური	2
ხილისა და ბოსტნეულის შენახვის სხვა ადგილი	1
ცხოველთა საკვების შენახვის სხვა ადგილი	1
ცემენტის შენახვის სხვა ადგილი	1
სამკურნალო საშუალებების საწყობი	1
ნედლეულის შენახვის სხვა ადგილი	1
ნარჩენების შენახვის სხვა ადგილი	1
კონტეინერების შენახვის სხვა ადგილი	1
თამბაქოს ნაწარმის შენახვის სხვა ადგილი	1
ვეტ. პრეპარატების შენახვის სხვა ადგილი	1
არაგაბარიტული ტვირთის შენახვის სხვა ადგილი	1
აგროქიმიკატის შენახვის სხვა ადგილი	1

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ შემოსავლების სამსახურის საიტის მიხედვით

ტვირთის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ხორციელდება საბაჟო დეკლარაციის წარდგენით რომელიმე გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან გაფორმების განყოფილებაში.

დღეს საქართველოში 5 გაფორმების ეკონომიკური ზონა და 4 გაფორმების განყოფილება ფუნქციონირებს. საბაჟო ზე-

დამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შენახვა შესაძლებელია საბაჟო სანჯოხში, საბაჟო ტერმინალში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე, სადაც არსებობს საქონლის შენახვის შესაბამისი პირობები.

ძირითადად ტვირთის რომელიმე რეჟიმში მოქცევისთვის განსაზღვრული ვადაა 30 დღე, ამ დროის განმავლობაში ბიზნესოპერატორმა ტვირთი უნდა მოაქციოს ქვემოთ აღწერილ პროცედურაში:

ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იგივე იმპორტი, რომლის დროსაც უცხოური საქონელი ექცევა თავისუფალ მიმოქცევაში რა დროსაც იხდის საბაჟო გადასახდელებს, ამიტომ ამ პროცედურის გამოყენებისას ძალზედ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მონაცემების სწორ დეკლარირებას, რათა სწორად მოხდეს გადასახდელების დარიცხვა. ამ პროცედურის დასრულების შემდეგ, საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, სრულდება საბაჟო ზედამხედველობა, და ბიზნესოპერატორს შეუძლია განკარგოს იგი.

ბ) ექსპორტის პროცედურის განხორციელებისას საქართველოს საქონელი ტოვებს საქართველოს საბაჟო საზღვარს, ამ დროს საბაჟო გადასახდელი არ გადაიხდევინება, პროცედურის დასრულებისას საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს.

მოკლედ მიმოვიხილოთ სპეციალური პროცედურებიც.

ა) ტრანზიტის დროს უცხოური საქონელი გაივლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, ანუ შემოვა ერთი გამშვები პუნქტიდან და გავა მეორე გამშვები პუნქტით, ამ დროს აუცილებელი პირობაა რომ საქონელმა საზღვარი დატოვოს უცვლელ მდგომარეობაში, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემდეგ სრულდება საბაჟო ზედამხედველობა.

ბ) საბაჟო სანჯოხის პტოცედურა გულისხმობს უცხოური საქონლის შენახვას გარკვეული დროით, სანამ იგი მოექცევა რომელიმე სხვა პროცედურაში, ამ დროს საქონელი რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ. აუცილებელი პირობაა საქონელი და-

რჩეს უცვლელ მდგომარეობაში.

გ) თავისუფალი ზონა ესაა პროცედურა, სადაც საქართველოს საქონლის გატანა აღიქმება როგორც ექსპორტი, ხოლო უცხოური საქონლის შეტანა არ განიხილება თავისუფალ მიმოქცევაში მოქცევად და არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები.

დ) დროებითი შემოტანის პროცედურა გულისმობს ტვირთის შემოტანას საქართველოს ტერიტორიაზე. ამ დროს ტვირთი რჩება უცხოური კომპანიის საკუთრებაში. ქართული კომპანია განსაზღვრული ვადით განკარგავს საქონელს.

ე) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ეს პროცედურა ძალიან ჰგავს იმპორტს, იმ განსხვავებით რომ საქონელი კონკრეტული მიზნობრივობითაა შემოსული, მაგალითად, დიპლომატიური ტვირთი, იგი არ იხდის გადასახდელებს და საბაჟო ზედამხედველობა გრძელდება ამ მიზნობრივობის დასრულებამდე.

ვ) გარე გადამუშავება ესაა საქართველოს საქონლის ტერიტორიის გარეთ გადამუშავება, როგორიცაა შეკეთება, აწყობა, წარმოება და სხვა,

ზ) შიდა გადამუშავება, უცხოური საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავება, როგორიცაა აწყობა, წარმოება შეკეთება და სხვა.

ბოლო რამოდენიმე დეკადის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის მუდმივი ზრდა ძირითად გამონეული იყო ტექნოლოგიების განვითარებით და ვაჭრობის ლიბერალიზაციით მრავალმხრივ, რეგიონულ, ორმხრივ და ეროვნულ დონეზე.¹ ქვეყნებმა სულ უფრო და უფრო დაიწყეს ფოკუსირება ვაჭრობის ხელშეწყობაზე, განახორციელეს ეროვნული რეფორმები და ჩაერთნენ საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებში ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის.²

სავარაუდოა რომ, საბაჟო ორგანოების რეორიენტაცია შე-

1 IMF (International Monetary Fund). 2001. Global trade liberalization and the developing countries. Issues Brief 01/08, November.

2 E.Keick, Trade Facilitation and Customs, World Bank, Washington, Dc, United States, Chapter 10,P. 255-317, Years 2020

მოსავლების შეგროვებიდან ვაჭრობის ხელშეწყობის ფოკუსირებამდე დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყანას ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის მიმართულებით.¹ სავაჭრო ხელშეკრულებები მოიცავს წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესებს. შეთანხმებული წესების გათვალისწინება და მოთხოვნების დაკმაყოფილება არის აუცილებელი რათა ისარგებლოს კომპანიამ პრეფერენციული დაბეგვრის რეჟიმით. საბაზისო პრინციპი არის ის, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, აქვს უფლება ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით.²

დასკვნა:

საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება საბაჟო ორგანოების როლიც. ისინი სულ უფრო ორიენტირებულები ხდებიან, რომ ხელი შეუწყონ ბიზნესს განვითარებისათვის, რისთვისაც მათ შეცვალეს მათი ისტორიული როლი და კონტროლის განხორციელების გარდა ისინი სულ უფრო მეტი სახეობის სერვისს სთავაზობენ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ პირებს.

რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა სამხრეთ კავკასიის როლი გლობალურ გადაზიდვებში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ფეხი აუწყო ამ გამოწვევებს, რასაც ხელი შეუწყო საბაჟო კონტროლის ზონების სხვადასხვა ტიპების არსებობამ საქართველოში. ასევე საქართველოს საბაჟო ორგანოებმა გაზარდეს ელექტრონული მომსახურების მოცულობა, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ტვირთბრუნვის შეუფერხებელ განხორციელებას.

1 Md Almas Uzzaman and Mohammad Abu Yusuf, The role of Customs and other agencies in trade facilitation in Bangladesh: hindrances and ways forward, World Customs Journal, volume 5, number 1. P. 29-42, March 2021

2 Sars, South African Revenue Service, Customs External Policy Administration of Trade Agreements, P. 1-17, 20 March, 2021

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Dr Kochadze T, Dr. Tsetskladze A., Doctoral candidate Godadze A., Akaki Tsereteli state University-Kutaisi, Georgia, The Customs Logistics Concept for The South Caucasus Transport Technological Systems, Scientific Proceedings International Scientific Conference “Hight Technologies, Business Society 2017”, Year I, Volume I, P.P. 17-19, 2017
2. Jeffrey L. Snyder, , General Editor, GTCJ, and Partner, Crowell & Moring LLP, Washington, D.C. and Brussels, Global Trade and Customs Journal, the premier journal for international trade practitioners, Available at <https://mag.wcoomd.org/magazine/wco-news-77/global-trade-and-customs-journal-the-premier-journal-for-international-trade-practitioners>
3. Albert W. Veenstra, Frank Heijmann, Multi-year Expert Meeting on Transport, Trade Logistics and Trade Facilitation 9th Session,
4. IMF (International Monetary Fund). 2001. Global trade liberalization and the developing countries. Issues Brief 01/08, November.
5. E.Keick, Trade Facilitation and Customs, World Bank, Washington, Dc, United States, Chapter 10,P. 255-317, Years 2020
6. Md Almas Uzzaman and Mohammad Abu Yusuf, The role of Customs and other agencies in trade facilitation in Bangladesh: hindrances and ways forward, World Customs Journal, volume 5, number I. P. 29-42, March 2021
7. Sars, South African Revenue Service, Customs External Policy Administration of Trade Agreements, P. 1-17, 20 March, 2021
8. CUSTOMS CODE OF GEORGIA, N 4505, Parliament of Georgia, 28/06/2019
9. TAX CODE OF GEORGIA, N 3591, Parliament of Georgia, 17/09/2010
10. The Instructions On The Movement and Clearance of Goods In The Customs Territory of Georgia, 257, Order of Minister of Georgia. 30/08/2019
11. Guidende manual on Customs Warehoising, Irish Taw and Customs, February 2022

INTERNATIONAL TRADE AND CUSTOMS FORMALITIES IN GEORGIA

Giorgi Bekauri,
Phd student of GTU
mr.bekaure@gmail.com

RESUME

The World Trade Organization (WTO) regulates international trade in all directions. GATT and the World Trade Organization (WTO) have regulated international trade in the past, present and will regulate it in the future. However, the World Trade Organization (WTO) still does not ensure the full implementation of the decisions made in the Doha Round, which is why free trade agreements (FTA) are used to liberalize trade at the international level.

International agreements and the World Trade Organization (WTO) statutes provide governments of countries with a number of market protection mechanisms.

Georgia became a member of the World Trade Organization (WTO) in 2000 and has signed many bilateral free trade agreements. The mentioned agreements together with the legislation of Georgia form the legal base of customs control.

Key words: World Trade Organization (WTO), international trade, goods clearance procedures, customs control zone.